

შპს Beauty Life, ს/ნ: 204557639
ჯგუფური

+ ანგარიშგების დამატება

გაგზავნილი

2024 წლის იანვარი-დეკემბრი ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმები

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის ✓

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი) ✓

არჩევა

საანგარიშგებო პერიოდის დასასრული

შესადარისი პერიოდი

შესადარისი პერიოდი

31/12/2024

31/12/2023

31/12/2022



ციფრული ფორმების შავსავის ერთეული

გთხოვთ, ციფრული ფორმები შეავსეთ ერთეულ ლარში, ისევე როგორც შესადარისი წლებზე ინფორმაცია.

სტანდარტი: მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა

საქმიანობის შედეგები

გადასახდელი მოვალეობები

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2024

31/12/2023

31/12/2022

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

508,251

2,202,771

957,328

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2,262,724

1,703,588

1,588,737

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად
გაცემული ფულადი სახსრები

0

0

0

მარაგები



2,858,003



2,113,940



1,802,340

მზა პროდუქცია

0

0

0

სხვა

2,858,003

2,113,940

1,802,340

საინვესტიციო ქონება

0

0

0

საშსახურისთვის ხერხილს გაგზავნა

სხვა მოკლევადიანი აქტივები	268,335	59,070	246,595
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდულით	0	0	0
გადაფასების მოდულით	0	0	0
გედვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	25,338	20,467	21,640
ძირითადი საშუალებები	10,670,068	10,757,143	10,621,322
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	872,500	720,500	535,000
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,300,000	0	0
სულ აქტივები	18,765,219	17,577,479	15,772,962
ვალდებულებები			
საიტარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	190,421	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	13,023
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,713,872	4,063,082	4,738,269
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	170,953	151,225	94,860
სულ ვალდებულებები	3,884,825	4,404,728	4,846,152
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3,576,922	3,511,923	3,426,924
საემისიო შემოსავალი	0	0	0



სამსახურისთვის წერილის გაგზავნა

გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ნარალი)	11,303,472	9,660,828	7,499,886
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	14,880,394	13,172,751	10,926,810
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18,765,219	17,577,479	15,772,962
სულ მოკლევადიანი აქტივები	6,928,981	1,762,658	1
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	19,650	341,646	1
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

შენახვა

< ანგარიშგება



შპს Beauty Life, ს/გ: 204557639

აღმინისტრირება

ანგარიშგების დამატება

გამომცემი

2024 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესაბამისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმატი

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

არჩევა

საანგარიშგებო პერიოდის დასასრული

31/12/2024

შესაბამისი პერიოდი

31/12/2023

შესაბამისი პერიოდი

31/12/2022

ციფრული ფორმატის შავსახის ერთეული

გთხოვთ, ციფრული ფორმები შეავსეთ ერთეულ ლარში, ისევე როგორც შესაბამისი წლებზე ინფორმაცია.

სტანდარტი: მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა

საქმიანობის შედეგები

ფულადი სახსრების მოძრაობა

სააქციონერის შედეგები

2024

2023

ნეტო ამონაგები



12,139,993



12,716,427

საქონლის გაყიდვიდან

12,089,973

12,590,208

მომსახურების განწევრიდან

0

0

სამშენებლო ხელშეკრულებებიდან

0

0

სხვა

50,020

126,219

გაყიდვების თვითღირებულება

-4,990,566

-5,594,162

საწყისი მარაგები

0

0



სამსახურისთვის წერილობითი გაგზავნა

მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	7,149,427	7,122,265
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3,187,263	-2,898,720
ცვლელთა / ამორტიზაციის ხარჯი	-730,716	-672,753
საპროცენტო შემოსავალი	163,488	31,728
საპროცენტო ხარჯი	-277,970	-302,191
იჯარის ხარჯი	-5,494	-2,288
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1,468,829	-1,117,098
სულ საოპერაციო ხარჯები	-5,506,784	-4,961,322
საოპერაციო მოგება	1,642,643	2,160,943
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1,642,643	2,160,943
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1,642,643	2,160,943
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და შეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახადელიანი პროგრამები)		0



სამსახურისთვის წერილის გაგზავნა

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:

0 0

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)

1,642,643 2,160,943

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

13,172,751 10,926,810

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')

0 0

განაწილება მესაკუთრეებზე (შათ შორის დივიდენდი)

0 0

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ შოგებაში

0 -2

კაპიტალის სხვა ცვლილებები

65,000 85,000

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

14,880,394 13,172,751

კვლევისა და განვითარების ხარჯები

0 0

შენახვა

< ანგარიშგება



შპს Beauty Life, ს/ნ: 204557639

აღიწივით

+ ანგარიშგების დამატება

გამოცემის თარიღი

2024 წლის იანვარი-დეკემბრის ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმატი

გამართივებული ფორმები მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის ✓

შვირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი) ✓

არჩევა

საანგარიშგებო პერიოდის დასასრული

შესადარისი პერიოდი

შესადარისი პერიოდი

31/12/2024

31/12/2023

31/12/2022

ციფრული ფორმატის შავსაბის ერთეული

გთხოვთ, ციფრული ფორმები შეავსეთ ერთეულ ლარში, ისევე როგორც შესადარისი წლებზე ინფორმაცია.

სტანდარტი: მსს ფასს და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	1,245,443
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1,694,520	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-1,694,520	1,245,443
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2,202,771	957,328
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს	508,251	2,202,771

შპს Beauty Life

შპს "Beauty Life"

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2024 წლის 31 დეკემბერს

შპს Beauty Life

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2024 წ.	2023 წ.
ფული და ფულის ეკვივალენტები	508 251	2 202 771
სავაჭრო მოთხოვნები	2 262 724	1 703 588
გადახდილი ავანსები		
მარაგები	2 858 003	2 113 940
მზა პროდუქცია		
სხვა	2 858 003	2 113 940
სხვა მიმდინარე აქტივები	268 335	59 070
სხვა არამატერიალური აქტივები	25 338	20 467
ძირითადი საშუალებები	10 670 068	10 757 143
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	872 500	720 500
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1 300 000	0
სულ აქტივები	18 765 219	17 577 479
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	0	190 421
საგადასახადო ვალდებულებები		0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3 713 872	4 063 082
სხვა ვალდებულებები	170 953	151 225
სულ ვალდებულებები	3 884 825	4 404 728
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3 576 922	3 511 923
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	11 303 472	9 660 828
სულ საკუთარი კაპიტალი	14 880 394	13 172 751
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18 765 219	17 577 479

შპს Beauty Life

დირექტორი:



ლ. ოზოლაშვილი

შპს Beauty Life

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2024 წ.
ნეტო ამონაგები	12 139 993
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან	12 089 973
სხვა	50 020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4 990 566)
საერთო მოგება	7 149 427
სხვა შემოსავალი	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	(3 187 263)
ცვეთა და ამორტიზაცია	(730 716)
საპროცენტო შემოსავალი	163 488
საპროცენტო ხარჯი	(277 970)
იჯარის ხარჯი	(5 494)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 468 829)
სულ საოპერაციო ხარჯები	(5 506 784)
საოპერაციო მოგება	1 642 643
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1 642 643
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	1 642 643
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 642 643
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	13 172 751
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	65 000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	14 880 394

შპს Beauty Life

დირექტორი:



შპს Beauty Life

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2024 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	0
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 694 520)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(1 694 520)
სავალუტო კურსის ეფექტი	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2 202 771
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	508 251

შპს Beauty Life

დირექტორი:



შპს Beauty Life

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

1. შპს Beauty Life

შპს Beauty Life („კომპანია“) დაარსდა 2008 წლის 04 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით უშუალო მფლობელი ფიზიკური პირი ლია ოზოლაშვილი - 204557639-SH-00001.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ევროპული ბრენდების პროდუქციის დისტრიბუციის წესით მიწოდება, ასევე სილამაზის სალონური მომსახურება და ესთეტიკური მედიცინის მომსახურებები საკუთარ ობიექტებზე და ამავე ობიექტებში პროდუქციის პირდაპირი გაყიდვა მომხმარებელზე.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეტრე ქავთარაძის 20დ, კომერციული ფართი #5, სართული 3. ამავე მისამართზე მდებარეობს ფირმის ოფისი, ხოლო ობიექტები შემდეგ მისამართებზე: სილამაზის სტუდია-სალონი კეონი - თამარაშვილის 4ა და აბაშიძის 34, ესთეტიკური კლინიკა ნუაჟი - თამარაშვილის 4ა და აბაშიძის 34.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწვევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).



ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5 – 10
შენობა-ნაგებობები	5 – 10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 – 10
სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10
სხვა ძირითადი საშუალებები	5 – 10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.


მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეუძლებელია ან



შპს Beauty Life

მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას.


სესხები. სესხები აღირიცხება იმ ღირებულებით რა ღირებულების გადახდასაც მოახდენს კომპანია.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადანაგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:



31 დეკემბერი
2024

ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068
ლარი/1 ევრო	2.9306
ლარი/1 გირვანქა სტერლინგი	3,5349

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის რეალიზაცია

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოძინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც

შპს Beauty Life

ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.



შპს Beauty Life

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა-ნაგებობები	კომპლუტური და სხვა ტექნიკა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	მსუბუქი ავტომობილები	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2024	3 871 302	5 652 300	2 598 936	1 496 784	180 139	13 799 461
შესიდა	-	57 900	414 615	108 948	64 049	645 512
რეალიზაცია	-	-	-505	-5 385	-	- 5 890
ღირებულება 31 დეკემბერი 2024	3 871 302	5 710 200	3 013 046	1 600 347	244 188	14 439 083
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2024	-	-1 165 175	-983 424	-739 527	-154 192	-3 042 318
ცვეთის ხარჯი	-	-228 028	-329 744	-146 037	-25 527	-729 336
რეალიზაცია	-	-	505	2 134	-	2 639
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	-	-1 393 203	-1 312 663	-883 430	-179 719	-3 769 015
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2024	3 871 302	4 487 125	1 615 512	757 257	25 947	10 757 143
31 დეკემბერი 2024	3 871 302	4 316 997	1 700 383	716 917	64 469	10 670 068

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები არ ყოფილა დაგირავებული.



შპს Beauty Life

5. მარაგები

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
გასაყიდად განკუთვნილი საქონელი	2 426 509	1 801 048
სარეკლამო საქონელი	86 654	49 874
კოსმეტოლოგიური საქონელი სალონისთვის	341 604	261 959
საწვავი	3 236	1 059
სულ მარაგები	2 858 003	2 113 940

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 262 724	1 703 588
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 262 724	1 703 588

7. სხვა მიმდინარე აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სხვა მიმდინარე აქტივების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
მოთხოვნები	268 335	59 070
სულ სხვა მიმდინარე აქტივები	268 335	59 070

8. ფული და ფულის ექვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
--	-------------------	----------------



შპს Beauty Life

ფული ბანკში	460 254	2 152 964
ნაღდი ფული სალაროში	47 997	49 807
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	508 251	2 202 771

კომპანიის ფული ბანკში განთავსებულია სს საქართველოს ბანკის, სს თიბისი ბანკის, სს ლიბერთი ბანკის და სს ბაზის ბანკის საბანკო ანგარიშებზე.

9. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტუმენტებში

კომპანია არის შპს „კეონი აკადემიის“ დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელი. „კეონი აკადემია“ არის პროფესიული სასწავლებელი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თმისა და ფრჩხილის სპეციალისტების მომზადება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ „კეონის აკადემიის“ საწესდებო კაპიტალში მოხდა 872 500 ლარის შეტანა.

10. საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 3 576 923 ლარს, ხოლო 1 იანვრის მდგომარეობით 3 511 923 ლარს.

11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

		31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
	ვალუტა		
სს ბაზის ბანკი	აშშ დოლარი	3 713 872	4 063 082
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		3 713 872	4 063 082

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, საგადასახადო ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
სავაჭრო ვალდებულებები	0	190 421
სხვა ვალდებულებები	170 953	151 225
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	170 953	341 646

13. შემოსავალი



შპს Beauty Life

კომპანიის შემოსავლები შედგება საქონლის რეალიზაციიდან და სალონებსა თუ ესთეტიკურ კლინიკაში გაწეული მომსახურებისგან, ასევე ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისგან.

	2024
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	12 089 973
სხვა	50 020
სულ შემოსავალი	12 139 993


14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2024
რეკლამის ხარჯები	229 241
საწარმოო დანიშნულების ინვენტარის ხარჯი	1 106
დამხმარე მასალების ხარჯი	171 699
საპენსიო ფონდი	50 116
საოფისე ინვენტარის ხარჯი	2 103
დაზღვევის ხარჯი	37 750
საკანცელარიო ხარჯები	4 483
კომუნიკაციის ხარჯები	12 467
ელექტროენერგია , გაზი და კომუნალურები	111 297
კომპიუტერის ხარჯები	11 671
საკონსულტაციო ხარჯები	30
სხვა საგადასახადო ხარჯები	108 308
საბანკო ხარჯები	141 358
ავტომობილის ხარჯები	2 032
უარყოფითი საკურსო სხვაობები	162 364
სხვა საერთო ხარჯები	422 804
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	1 468 829

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.



საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

16. ფინანსური რისკების მართვა


კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება ხოლო



შპს Beauty Life

აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება.

17. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას არ გააჩნია.

18. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

